

ალფა პეტ ჯგუფი

**კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ძირითადი საშუალებები	17
6. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები.....	18
7. მარაგები.....	18
8. სავაჭრო მოთხოვნები	18
9. გადახდილი ავანსები	19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
11. მიღებული სესხები	19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
13. საგადასახადო ვალდებულებები.....	21
14. ამონაგები	22
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
17. მიწოდების ხარჯები	22
18. საკუროს მოგება/(ზარალი), წმინდა	22
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	23
20. პირობითი ვალდებულებები.....	23
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	24
22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	24

ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....

1. საქმიანობის მიმოხილვა	29
2. სუბიექტის განვითარების გეგმები	30
3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	30
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	30
5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	30
6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	30
7. ძირითადი რისკები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ალფა პეტ ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალფა პეტის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია, რომ ჯგუფი ვერ აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზოგიერთ ვალდებულებას. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 აგვისტო, 2024

ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაშია და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 აგვისტო, 2024

ალფა პეტ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	22,514,235	20,184,472
არამატერიალური აქტივები		19,280	81
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	6	-	876,822
		22,533,515	21,061,375
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	11,781,916	14,045,430
გაცემული სესხი		99,100	-
სავაჭრო მოთხოვნები	8	10,431,470	9,728,038
გადახდილი ავანსები	9	3,321,437	1,534,409
საგადასახადო აქტივი	13	53,065	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	133,793	112,381
		25,820,781	25,420,258
სულ აქტივები		48,354,296	46,481,633
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		660,000	660,000
გაუნაწილებელი მოგება		10,555,328	10,872,740
		11,215,328	11,532,740
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სახელმწიფო გრანტი	11	2,681,979	2,408,369
მიღებული სესხები	11	240,774	43,189
		2,922,753	2,451,558
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	26,198,677	25,396,513
სახელმწიფო გრანტი	11	211,817	210,919
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,325,852	6,435,314
გადასახდელი დივიდენდები		1,479,869	251,736
საგადასახადო ვალდებულებები	13	-	202,853
		34,216,215	32,497,335
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		48,354,296	46,481,633

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 22 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



მიხეილ ხუნდაძე

ფინანსური დირექტორი



მილენა მიკირტუმოვა

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	22,514,235	20,184,472
არამატერიალური აქტივები		19,280	81
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	6	-	876,822
		22,533,515	21,061,375
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	11,781,916	14,045,430
გაცემული სესხი		99,100	-
სავაჭრო მოთხოვნები	8	10,431,470	9,728,038
გადახდილი ავანსები	9	3,321,437	1,534,409
საგადასახადო აქტივი	13	53,065	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	133,793	112,381
		25,820,781	25,420,258
სულ აქტივები		48,354,296	46,481,633
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		660,000	660,000
გაუნაწილებელი მოგება		10,555,328	10,872,740
		11,215,328	11,532,740
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სახელმწიფო გრანტი	11	2,681,979	2,408,369
მიღებული სესხები	11	240,774	43,189
		2,922,753	2,451,558
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	26,198,677	25,396,513
სახელმწიფო გრანტი	11	211,817	210,919
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,325,852	6,435,314
გადასახდელი დივიდენდები		1,479,869	251,736
საგადასახადო ვალდებულებები	13	-	202,853
		34,216,215	32,497,335
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		48,354,296	46,481,633

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 22 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მიხეილ ხუნდაძე

ფინანსური დირექტორი

მილენა მიკირტუმოვი

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	14	59,900,788	62,358,717
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(48,961,389)	(53,033,253)
საერთო მოგება		10,939,399	9,325,464
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,373,711)	(2,880,177)
მიწოდების ხარჯები	17	(1,623,446)	(1,611,905)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	8	19,164	(16,078)
სხვა შემოსავალი		349,758	272,242
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, წმინდა		-	(22,256)
საოპერაციო მოგება		6,311,164	5,067,290
საკუროსო მოგება/(ზარალი), წმინდა	18	(267,312)	1,589,461
საპროცენტო შემოსავალი		28,416	-
საპროცენტო ხარჯი	11	(2,872,044)	(2,568,020)
მოგება დაბეგვრამდე		3,200,224	4,088,731
მოგების გადასახადის ხარჯი		(343,425)	(884,699)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,856,799	3,204,032

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	660,000	11,531,966	12,191,966
დივიდენდები	-	(3,863,258)	(3,863,258)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,204,032	3,204,032
31 დეკემბერი 2022	660,000	10,872,740	11,532,740
დივიდენდები	-	(3,174,211)	(3,174,211)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,856,799	2,856,799
31 დეკემბერი 2023	660,000	10,555,328	11,215,328

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3,200,224	4,088,731
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		2,270,987	2,160,282
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	8	(19,164)	16,078
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		149,465	3,236
მარაგების გაუფასურების ხარჯი	16	19,802	149,105
საპროცენტო ხარჯი	11	2,872,044	2,568,020
საპროცენტო შემოსავალი		(28,416)	-
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		-	22,256
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი/(მოგება)	18	267,312	(1,589,461)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		8,732,254	7,418,247
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგების შემცირება/(ზრდა)		2,243,712	(1,726,328)
საეჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(787,722)	(1,009,451)
გადახდილი ავანსების ზრდა		(1,787,028)	(146,985)
საეჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(175,537)	3,115,958
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(255,919)	83,845
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		7,969,760	7,735,286
გადახდილი პროცენტები		(2,994,393)	(2,712,375)
გადახდილი მოგების გადასახადი		(343,425)	(884,699)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,631,942	4,138,212
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(3,799,694)	(5,303,303)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	24,652
არამატერიალური აქტივების შეძენა		(19,199)	-
მიღებული სახელმწიფო გრანტი		649,397	660,506
გაცემული სესხის დაფარვა		35,990	-
სესხის გაცემა		(135,090)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,268,596)	(4,618,145)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	11	(58,655,623)	(55,844,710)
მიღებული სესხების ზრდა	11	59,386,499	62,283,722
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		-	(1,228,693)
გადახდილი დივიდენდი		(1,946,078)	(5,013,293)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,215,202)	197,026
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		148,144	(282,907)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	112,381	627,935
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტებზე	18	(126,732)	(232,647)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	133,793	112,381

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ალფა პეტი (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 205223970 დარეგისტრირებულია 2007 წლის 27 სექტემბერს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს პლასტიკური ბოთლების ნახევარფაბრიკატების - პეტ პრეფორმების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი მისაქციელი. კომპანიის ღირეპტორია მიხეილ ხუნდაძე.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სამველ თუმანიანი, AM0209292, AP0556110 /სომხეთი/	50%	50%
ლევონ მელიქსეტიანი, AK0424017; BA1000639 /სომხეთი/	50%	50%
	100%	100%

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შპს ალფა პეტ პლიუსს, რომელიც 2019 წლის დეკემბერში დააფუძნა ახალი საწარმოო ხაზის გახსნის, კერძოდ პლასტმასის კონტეინერებისა და სპეციფიური თავსახურების წარმოების მიზნით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ჯგუფი მომგებიანია და აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 22-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 წერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისის გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დამატდა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან:

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში.

შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფი აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის მომხმარებელზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს ჯგუფი და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მიღებული სესხები შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. დამატებითი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება მომხმარებლისათვის ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-8 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	დრამი	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,244,787	8,486,779	-	-	10,731,566
ფული და ფულის ეკვივალენტები	98,905	9,297	16,112	9,479	133,793
	2,343,692	8,496,076	16,112	9,479	10,865,359
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	7,819,815	17,456,532	1,163,104	-	26,439,451
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	162,374	6,133,417	30,061	-	6,325,852
	7,982,189	23,589,949	1,193,165	-	32,765,303
ღია სავალუტო პოზიცია	(5,638,497)	(15,093,873)	(1,177,053)	9,479	

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	დრამი	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,552,326	8,494,972	-	-	10,047,298
ფული და ფულის ეკვივალენტები	105,354	3,613	1,625	1,789	112,381
	1,657,680	8,498,585	1,625	1,789	10,159,679
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	10,203,463	13,206,659	2,029,580	-	25,439,702
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	353,255	5,393,691	688,368	-	6,435,314
	10,556,718	18,600,350	2,717,948	-	31,875,016
ღია სავალუტო პოზიცია	(8,899,038)	(10,101,765)	(2,716,323)	1,789	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(3,018,775)	3,018,775	(2,020,353)	2,020,353
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(235,411)	235,411	(543,265)	543,265

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ცხრილი მომზადებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის შიდა ინფორმაციის საფუძველზე:

31.12.2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,431,470	-	-	10,431,470
ფული ბანკში	129,651	-	-	129,651
	10,561,121	-	-	10,561,121
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	20,929,150	8,493,051	266,696	29,688,897
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,325,852	-	-	6,325,852
	27,255,002	8,493,051	266,696	36,014,749

აღფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

31.12.2022	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,728,038	-	-	9,728,038
ფული ბანკში	112,326	-	-	112,326
	9,840,364	-	-	9,840,364
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13,023,335	9,199,356	1,009,418	23,232,109
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,435,314	-	-	6,435,314
	19,458,649	9,199,356	1,009,418	29,667,423

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ავტომობილები და მტვირთველები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	326,248	3,148,509	16,648,884	472,899	354,523	1,312,023	22,263,086
შემოსვლა	-	-	4,120,776	97,066	36,299	270,753	4,524,894
საპროცენტო ხარჯის დაკაპიტალიზირება	-	-	193,898	-	33,104	-	227,002
გასვლის რეკლასი ფასს 16-ის მიხედვით	-	-	2,597,968	-	-	-	2,597,968
გასვლა	-	-	(5,830)	(105,295)	-	(18,839)	(129,964)
31 დეკემბერი 2022	326,248	3,148,509	23,555,696	464,670	423,926	1,563,937	29,482,986
შემოსვლა	-	-	1,413,846	164,911	1,979,867	1,117,892	4,676,516
საპროცენტო ხარჯის დაკაპიტალიზირება	-	-	-	-	73,699	-	73,699
გასვლა	-	-	(327,413)	(28,833)	-	(18,787)	(375,033)
31 დეკემბერი 2023	326,248	3,148,509	24,642,129	600,748	2,477,492	2,663,042	33,858,168
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	-	(277,970)	(5,811,637)	(206,189)	-	(407,407)	(6,703,203)
ცვეთა	-	(103,254)	(1,762,965)	(72,133)	-	(95,612)	(2,033,964)
გასვლის რეკლასი ფასს 16-ის მიხედვით	-	-	(641,167)	-	-	-	(641,167)
გასვლა	-	-	5,768	58,379	-	15,673	79,820
31 დეკემბერი 2022	-	(381,224)	(8,210,001)	(219,943)	-	(487,346)	(9,298,514)
ცვეთა	-	(103,255)	(1,824,847)	(54,984)	-	(287,901)	(2,270,987)
გასვლა	-	-	187,376	19,405	-	18,787	225,568
31 დეკემბერი 2023	-	(484,479)	(9,847,472)	(255,522)	-	(756,460)	(11,343,933)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	326,248	2,767,285	15,345,695	244,727	423,926	1,076,591	20,184,472
31 დეკემბერი 2023	326,248	2,664,030	14,794,657	345,226	2,477,492	1,906,582	22,514,235

ჯგუფის მიწა და მანქანა-დანადგარები ჩადებულია მიღებული სესხების უზრუნველყოფაში 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სრულად გაცვეთილი აქტივები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა შესაბამისად, 78,133 და 342,761 ლარით.

6. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

შპს ალფა პეტმა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში გრძელვადიანი აქტივის მშენებლობისთვის შპს ელემენტ ქონსტრაქშენს გადაუხადა ავანსი, რომლის ნაშთმა 2022 წლის პერიოდის ბოლოს შეადგინა 876,822 ლარი.

7. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
საქონელი გზაში	4,474,749	4,158,251
მზა პროდუქცია	3,669,516	6,698,825
ნედლეული	1,883,504	2,239,648
საექსპლუატაციო მარაგი	1,610,530	834,825
სხვა	143,617	113,881
	11,781,916	14,045,430

45,665 და 125,828 ლარის წარმოებული მზა პროდუქცია წარმოდგენილია გაყიდვის დანახარჯით შემცირებული რეალური ღირებულებით შესაბამისად 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

8. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები გარდა ფულის და ფულის ეკვივალენტებისა		
კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით		
სავაჭრო მოთხოვნები	10,731,566	10,047,298
საექვო ვალების რეზერვი	(300,096)	(319,260)
	10,431,470	9,728,038

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია სავაჭრო მოთხოვნებით. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსგავსი სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 5,731,261 და 3,743,062 ლარს, შესაბამისად.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

საექვო ვალების რეზერვი:	2023	2022
1 იანვარი	319,260	303,182
რეზერვის ზრდა	99,457	139,778
გამოუყენებელი რეზერვის ამოზრუნება	(118,621)	(123,700)
რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	(19,164)	16,078
31 დეკემბერი	300,096	319,260

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი მოთხოვნებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	31 დან 90 დღემდე	91 დან 180 დღემდე	181 დან 360 დღემდე	361 დღეზე მეტი	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთი	1.22%	3.65%	12.16%	60.81%	100.00%	
31 დეკემბერი 2023						
მთლიანი საბალანსო ღირებულება	7,344,558	3,002,810	318,289	8,644	57,265	10,731,566
გაუფასურების რეზერვი	89,317	109,553	38,707	5,254	57,265	300,096
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთი	1.22%	3.65%	12.16%	60.81%	100.00%	
31 დეკემბერი 2022						
მთლიანი საბალანსო ღირებულება	7,122,677	2,703,198	70,494	65,029	85,900	10,047,298
გაუფასურების რეზერვი	86,621	98,623	8,573	39,543	85,900	319,260

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

9. გადახდილი ავანსები

	31.12.2023	31.12.2022
ავანსი გადახდილი:		
მომწოდებლებისთვის	3,024,926	1,353,587
სხვა	296,511	180,822
	3,321,437	1,534,409

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	4,142	55
ფული ბანკში	129,651	112,326
	133,793	112,381

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

11. მიღებული სესხები

	დაფარვის კადა	ვალუტა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი მიღებული სესხი				
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	3/20/2025	ლარი	8,477	43,189
სს თიბისი ლიზინგი	3/18/2025	ევრო	232,297	-
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი			240,774	43,189

მოკლევადიანი მიღებული სესხი:	დაფარვის კადა	ვალუტა	31.12.2023	31.12.2022
სს საქართველოს ბანკი	4/26/2024	დოლარი	11,917,121	-
სს საქართველოს ბანკი	8/15/2028	ლარი	2,386,096	2,377,016
სს საქართველოს ბანკი	12/25/2026	ლარი	1,435,490	1,813,726
სს საქართველოს ბანკი	8/15/2028	ლარი	935,233	-
სს საქართველოს ბანკი	1/30/2026	დოლარი	879,477	-
სს საქართველოს ბანკი	9/28/2029	ლარი	881,456	972,529
სს საქართველოს ბანკი	9/28/2029	დოლარი	717,274	221,838
სს საქართველოს ბანკი	6/20/2025	ლარი	659,137	1,021,154
სს საქართველოს ბანკი	8/15/2024	ლარი	440,326	215,509
სს საქართველოს ბანკი	8/15/2024	ლარი	428,411	994,265
სს საქართველოს ბანკი	3/13/2026	ლარი	406,417	501,088
სს საქართველოს ბანკი	12/25/2026	ლარი	163,609	205,159
სს საქართველოს ბანკი	5/15/2024	ლარი	40,465	123,378
სს თიბისი ლიზინგი	20/03/2025	ლარი	34,698	27,475
სს საქართველოს ბანკი	4/28/2023	ლარი	-	1,713,090
სს საქართველოს ბანკი	5/17/2023	დოლარი	-	1,627,655
სს საქართველოს ბანკი	9/8/2023	ლარი	-	125,324
სს საქართველოს ბანკი	11/15/2023	ლარი	-	70,561
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	3/18/2025	ევრო	930,807	2,029,580
ოვერდრაფტი:				
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	11/17/2024	დოლარი	3,942,660	4,211,067
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი:				
სს საქართველოს ბანკი	12/1/2023	დოლარი	-	7,146,099
			26,198,677	25,396,513

ჯგუფის საასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული შეზღუდვები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაირღვა, რის გამოც ჯგუფმა შესაბამისი სესხები წარადგინა, როგორც მოკლევადიანი. დამატებით იხილეთ მე-20 შენიშვნა.

მიღებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 6-15%-მდე.

ჯგუფმა 2019 წლის დეკემბერში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში საქართველოს ბანკისგან მიიღო სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია ჯგუფის შვილობილი კომპანიის მიერ ახალი საწარმოო ზახის

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

გახსნისთვის საჭირო დანადგარის შესაძენად. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 12%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის

განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ის ოდენობით.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა აწარმოეს ლიმიტის ფარგლებში მიიღო დამატებითი დაფინანსება. 2020 წლის სექტემბერში და ნოემბერში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ჯგუფმა საქართველოს ბანკისგან მიიღო ორი ახალი სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია წარმოებისთვის საჭირო ყალიბების და ოფისის მშენებლობისთვის. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 13%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 11%-ის ოდენობით.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა აწარმოეს ლიმიტის ფარგლებში მიიღო დამატებითი დაფინანსება. 2021 წლის მარტში, ივნისსა და ნოემბერში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში საქართველოს ბანკისგან მიიღო სამი ახალი სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია მზის პანელების, წარმოებისთვის საჭირო ყალიბებისა და საწარმოო დანადგარის შესაძენად. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 13%, 14.5% და 15%-ანი განაკვეთით, შესაბამისად, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 36 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 11.5%, 12.5% და 13%-ის ოდენობით.

ჯგუფმა 2022 წლის მაისში, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში საქართველოს ბანკთან უკვე არსებული სესხის ფარგლებში აითვისა დამატებით თანხები. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია საწარმოო დანადგარის შესაძენად. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 15%-ანი განაკვეთით, შესაბამისად, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 36 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 13%-ის ოდენობით.

ჯგუფმა 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში აწარმოეს ლიმიტის ფარგლებში მიიღო დამატებითი დაფინანსება. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 15%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 36 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 13%-ის ოდენობით.

ჯგუფმა სახელმწიფოსგან გაწეული დახმარება აღიარა, როგორც აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტი. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ მიღებული სახელმწიფო გრანტი შესაბამისად შეადგენს 2,893,796 და 2,619,288 ლარს.

ძირითადი საშუალებების მშენებლობისთვის განკუთვნილი გრანტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ისევე როგორც ძირითადი საშუალების შესაძენად განკუთვნილი გრანტი.

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის უძრავ-მოძრავი ქონებითა და მოთხოვნებით.

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	25,439,702	21,376,189
ფულადი		
სესხის აღება	59,386,499	62,283,722
სესხის დაფარვა	(58,655,623)	(55,844,710)
პროცენტის დაფარვა	(2,994,393)	(2,543,146)
აწარმოეს ფარგლებში მისაღები დაფინანსება	164,851	-
არაფულადი		
სესხის აღება	-	98,413
საპროცენტო ხარჯი აღიარებული მოგება ან ზარალში	2,872,044	2,398,791
საპროცენტო ხარჯი წარდგენილი ძირითად საშუალებებში, როგორც	73,699	227,002
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	-	(59,652)
აწარმოეს ფარგლებში მისაღები დაფინანსება	-	(59,652)
გადაფასება	152,672	(2,496,907)
31 დეკემბერი	26,439,451	25,439,702

საპროცენტო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მიღებული სესხი:		
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	(2,450,770)	(1,582,244)
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	(90,806)	(62,823)
ფინანსური იჯარა	-	(169,229)
ოვერდრაფტი	(330,468)	(753,724)
	(2,872,044)	(2,568,020)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	3,645,111	3,599,796
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	2,587,857	2,640,459
სხვა ვალდებულებები	92,884	195,059
	6,325,852	6,435,314

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

13. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფი გადასახადებს იხდის ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად ჯგუფმა წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგადასახადო აქტივი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით როგორც საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 53,065 და 202,853 ლარს.

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

14. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები სრულად აღიარებულია დროის გარკვეულ მომენტში. ამონაგები კატეგორიების და გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით წარდგენილია შემდეგნაირად:

2023 წელი	მზა პროდუქცია (წარმოებული)	მზა პროდუქცია (იმპორტული)	ნედლეული	სხვა	სულ
საქართველო	39,235,429	8,838,897	2,636,805	-	50,711,131
სომხეთი	6,711,088	520,519	1,219,902	263,109	8,714,618
სხვა	475,039	-	-	-	475,039
	46,421,556	9,359,416	3,856,707	263,109	59,900,788
2022 წელი	მზა პროდუქცია (წარმოებული)	მზა პროდუქცია (იმპორტული)	ნედლეული	სხვა	სულ
საქართველო	41,709,913	9,548,702	6,036	40,257	51,304,908
სომხეთი	5,640,494	70,894	1,389,573	228,502	7,329,463
სხვა	177,086	-	3,547,260	-	3,724,346
	47,527,493	9,619,596	4,942,869	268,759	62,358,717

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
მზა პროდუქცია (წარმოებული)	(35,997,608)	(39,152,684)
მზა პროდუქცია (იმპორტული)	(9,002,631)	(8,830,690)
ნედლეული	(3,741,446)	(4,882,776)
სხვა	(219,704)	(167,103)
	(48,961,389)	(53,033,253)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
თანამშრომელთა სარგებელი	(1,722,934)	(1,341,532)
ცვეთა	(695,450)	(625,129)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(247,579)	(180,427)
პროფესიონალური სერვისები	(111,837)	(201,704)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(89,227)	-
რემონტი	(59,281)	(24,609)
საწვავი	(49,753)	(21,717)
ბანკის საკომისიო	(41,132)	(41,630)
დაცვის ხარჯი	33,559	-
კომუნალური ხარჯი	(24,911)	(21,454)
მარაგების ჩამოფასება	(19,802)	(149,105)
სხვა	(278,246)	(272,870)
	(3,373,711)	(2,880,177)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება განმარტებულია მე-19 შენიშვნაში.

17. მიწოდების ხარჯები

	2023	2022
შესაფუთი მასალები	(681,770)	(891,400)
ტრანსპორტირება	(333,578)	(175,930)
იჯარა	(251,796)	(120,266)
თანამშრომელთა სარგებელი	(171,361)	(121,998)
საწვავი	(104,251)	(174,897)
ავტომტვირთავებისა და სატვირთოების რემონტის ხარჯები	(41,653)	(49,617)
ცვეთა	(12,200)	(28,668)
სხვა	(26,837)	(49,129)
	(1,623,446)	(1,611,905)

18. საკურსო მოგება/(ზარალი), წმინდა

	2023	2022
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(126,732)	(232,647)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(140,580)	1,822,108
	(267,312)	1,589,461

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	
	სხვა	ბენეფიციარი მფლობელები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,645,111)	-
გადასახდელი დივიდენდები	-	1,479,865
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი	8,714,618	-
	31 დეკემბერი 2022	
	სხვა	ბენეფიციარი მფლობელები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,080,800	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,599,796	-
გადასახდელი დივიდენდები	-	251,732
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი	7,189,683	-
	2023	2022
უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი	788,340	637,138

20. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგრას. მომავალი დივიდენდით განპირობებული მოსალოდნელი მოგების გადასახადი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,666,631 ლარს.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

კოვენანტები - ჯგუფის სასესხო ხელშეკრულებები ითვალისწინებენ შემდეგ კოვენანტებს:

სს საქართველოს ბანკის სასესხო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტს:

- ჯგუფის მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის სხვაობა უნდა იყოს არანაკლებ ნულისა
- იმ შემთხვევაში თუ ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) 1.2-ზე ნაკლებია, ჯგუფმა არ უნდა გასცეს დივიდენდი.

ჯგუფი ფინანსური კოეფიციენტებს ითვლის შემდეგნაირად:

მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის სხვაობა - მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები

ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) - გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე, ასევე აქტივებზე ამორტიზაციის და ცვეთის დარიცხვამდე არსებული

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მოგება (დაკორექტირებული კომპანიის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული კაპიტალური დანახარჯებით, დივიდენდებით, მოგების გადასახადით და ცვლილებით საბრუნავ კაპიტალში) გაყოფილი ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მიმდინარე ნაწილის მომსახურებისთვის საჭირო ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის ჯამზე.

სს HSBC-ის სასესხო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტს:

- კომპანია ალფა პეტის საკუთარი კაპიტალის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების განსხვავება ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს 2,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები
- გადასახადის და პროცენტის გადახდამდე კომპანია ალფა პეტის წმინდა მოგების შეფარდება საბანკო საკრედიტო ხაზით საპროცენტო ხარჯებთან არ უნდა იყოს 3.0 შეფარდებაზე ნაკლები
- შპს ალფა პეტმა არ უნდა გაყიდოს 270,000 ლარზე მეტი ღირებულების ძირითადი საშუალებები
- ბანკის თანხობის გარეშე კომპანია ალფა პეტმა არ უნდა გაანაწილოს წმინდა მოგების 80% ზე მეტი დივიდენდი.

	2023	2022
მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები	(8,395,434)	(3,895,425)
ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)*	0.34	0.25
საკუთარი კაპიტალის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების განსხვავება	5,817,248	7,783,891
გადასახადის და პროცენტის გადახდამდე წმინდა მოგების შეფარდება საბანკო საკრედიტო ხაზით საპროცენტო ხარჯებთან	10.69	6.15
გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება	149,464	50,144
გადახდილი დივიდენდი < წმინდა მოგების 80%-ზე	94%	50%

*ჯგუფის სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოვენანტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაირღვა საქართველოს ბანკის ორივე შეზღუდვა, თუმცა ბანკმა არ ამოქმედა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფი ძირითად შემოსავლებს იღებს წარმოებული და იმპორტირებული პრეფორმების რეალიზაციიდან. იგი ყიდის თავის პროდუქტს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტით. ორივე შემთხვევაში დროის ის მომენტი როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტს, ჯგუფისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შესაბამისად, დროის გარკვეულ მომენტში აღიარებს შემოსავალს.

ჯგუფი ზოგადად წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, გარდა დედა კომპანიისთვის გადაყიდული რეექსპორტირებული აქტივებისთვის, რომელთა შედეგი ფინანსურ ანგარიშგებებში ნეტ საფუძველზეა წარდგენილი.

გარიგების ფასის განსაზღვრა

ჯგუფი შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული სიტყვიერი/დოკუმენტური შეთანხმებებიდან, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს მოლაპარაკებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული გაყიდვიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით. ხელშეკრულებების მიხედვით მომხმარებლები შეძენილი პროდუქტის საზღაურს იხდიან პროდუქტზე კონტროლის მოპოვებიდან 30-60 დღის შუალედში. ჯგუფს არ აქვს კონტრაქტები, რომელთა მიხედვით ანაზღაურების მოცულობა იქნება ცვალებადი.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

ყველა შეთანხმება არის ფიქსირებული ფასებით, თითოეული პროდუქტის გაყიდვის დროს. აქედან გამომდინარე ასეთი შეთანხმებებისას ჯგუფი არ იყენებს მსჯელობას გაანაწილოს გარიგების ფასი თითოეული შეკვეთისთვის. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, ჯგუფს შეუძლია შეთანხმების მთლიანი ღირებულება გაყოს თითოეული პროდუქტის გასაყიდი ფასების მიხედვით (ყველა პროდუქტი შესაძლებელია წარმოადგენდეს ინდივიდუალურ პროდუქტს და გაიყიდოს ცალკე).

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დამოკიდებული აქტივის ფლობის მიზანზე. ჯგუფი არცერთ ფინანსურ აქტივს არ აკლასიფიცირებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში.

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფი არ ახდენს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	სომხ. დრამი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	0.0067
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	0.0069

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც ჯგუფი ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
მიწა	ცვითა არ ერიცხება
ნაგებობა	7-30
მანქანა-დანადგარები	5-15
ავტომობილები და მტკირთველები	5-10
სხვა	3-25

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:

ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

აქტივთან დაკავშირებული გრანტები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაირთვება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს პროცენტს და საკურსო სხვაობის ზარალს, იმ მოცულობით რომლითაც იგი აკორექტირებს საპროცენტო ხარჯებს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მიწოდებული პროდუქტის თვითღირებულების ჩამოწერა ხარჯებში აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც ჯგუფი საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარიცხებს, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ჯგუფი მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იხვევება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ განმარტებულია, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოხდება, მაშინ აქტივები და მასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარდება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა შეფასების ცვლილება.

1. საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს “ალფა პეტი” დაარსდა 2007 წლის 27 სექტემბერს სომხეთის მოქალაქეების სამველ თუმანიანის, ლევონ მელიქსეტიანის და EBRD-ის (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი) მიერ, თუმცა პროდუქციის წარმოება დაიწყო 2008 წლის ივნისში, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა იჯარით აღებული ფართის რემონტი და დანადგარების მონტაჟი.

2008 წლიდან დღემდე კომპანიის მფლობელები რამდენჯერმე შეიცვალა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში წილებს ფლობენ:

1. 50%-სამველ თუმანიანი
2. 50%-ლევონ მელიქსეტიანი

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს პლასტიკური ბოთლების ნახევარფაბრიკატების – პეტის პრეფორმების წარმოება (სასაქონლო კოდი: 39233010100).

დღეის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია 6 ჰასკის მანქანა-დანადგარი (Husky Injection Molding System), რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზომის პეტ პრეფორმებს-მაღალეულიანს და დაბალეულიანს და 1 საწარმოს ხაზი IML, რომელიც აწარმოებს რძის პროდუქტების ტარას. ჯგუფი ასევე ახორციელებს ანალოგიური პროდუქციის იმპორტირებას.

წარმოების პროცესი: პრეფორმის წარმოებისთვის გამოიყენება პოლიეთილენ ტერეფტალატი. ჯგუფი წარმოებისთვის იყენებს ინგლისური და იტალიური წარმოების საღებავებს. პეტის გრანულები ალფა პეტ-ს იმპორტით შემოაქვს ჩინეთიდან, ინდოეთიდან და კორეიდან.



1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფის პერსონალი და სამუშაო გარემო

შპს „ალფა პეტში“ ამჟამად დასაქმებულია 82 ადამიანი. კომპანიაში ადმინისტრაციულ და მმართველობით პოზიციებზე დასაქმებულია 17 პირი, ხოლო 65 პირი ჩართულია უშუალოდ წარმოების პროცესში. ჯგუფის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური რესურსი. „ალფა პეტში“ მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების განვითარებაზე, აქტიურად აფინანსებს თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯებს. მათთვის შექმნილია ეფექტური სამუშაო გარემო, შრომის კოდექსით დადგენილი ყველა პირობა მკაცრად არის დაცული და არ ირღვევა არცერთი კანონის მუხლი. თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც კანონით დადგენილი შვებულების დღეებით, ასევე ანაზღაურებადი ბიულეტენით, საკურორტო შვებულებით. ჯგუფი ასევე ზრუნავს თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე და მათ უფინანსებს ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯს.

ჯგუფში სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დაცულია გენდერული ბალანსი.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

ჯგუფს ემსახურებიან შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი კომპანიები, შენობებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტრენინგები, პერსონალი აღჭურვილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, პერიოდულად ხდება ფიზიკური ფაქტორების გაზომვა და ანალიზი, შემუშავებულია ნარჩენების მართვის გეგმა.

ჯგუფის ყველა დასაქმებული დაზღვეულია სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევისგან.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფმა დაისახა გეგმები, რომლის განხორციელებასაც აპირებს უახლოეს წლებში:

ჯგუფის განვითარების გეგმის მიმართულებები:

- ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;
- საექსპორტო არეალის გაფართოება;
- ადგილობრივი კლიენტების შემდგომი დივერსიფიკაცია.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია ფილიალები. შესაბამისად, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

საწარმო არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური ჯგუფისთვის.

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

გაყიდვების ანალიზი

2023 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით პრეფორმების რაოდენობრივი გაყიდვები საგრძნობლად არის გაზრდილი, ზრდა შეადგენს 40%-ს. 2023 წელს სულ შპს „ალფა პეტმა“ 454.2 მილიონი პრეფორმა გაყიდა.

	რაოდენობრივი გაყიდვები				იმპ წილი %	ადგ. წილი%
	იმპორტირებული	ადგილობრივი	მთლიანად	ზრდის კოეფიციენტი		
2022	28,576,976	295,892,900	324,469,876	-2%	9%	91%
2023	60,084,486	394,114,604	454,199,090	40%	13%	87%

2023 წელს სრული გაყიდვებიდან იმპორტირებული პროდუქციის წილმა 13% შეადგინა, რაც 110%-ით უფრო მეტია ვიდრე 2022 წელს. 2022 წელს იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვების წილი სრულ გაყიდვებში 9%-ს შეადგენდა. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წილი საერთო გაყიდვებში 2023 წელს შემცირდა 91%-დან 87%-მდე.

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კოეფიციენტების ანალიზი

შემოსავლიანობის კოეფიციენტები

შემოსავლიანობის კოეფიციენტები არის ჯგუფის ფინანსური აქტივობის შემფასებელი, თუ რამდენად ეფექტური იყო მისი საოპერაციო საქმიანობა, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტები მით უკეთესია ჯგუფისთვის.

საერთო მოგების მარჟა - (საერთო მოგება / შემოსავალი)

საერთო მოგების კოეფიციენტი არის ჯგუფის ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენია ჯგუფის მარჟა. მაღალი ინდექსი მაჩვენებელია ჯგუფის კარგი საფასო პოლიტიკის. თუმცა ის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე სრულ ინფორმაციას ვერ გვაწვდის.

	2023	2022
შემოსავალი	59,900,788	62,358,717
თვითღირებულება	(48,961,389)	(53,033,253)
საერთო მოგება	10,939,399	9,325,464
GPM	18%	15%

2023 წელს ჯგუფის შემოსავლები 2022 წელთან შედარებით შემცირებულია 4%-ით, რაც გამოწვეულია დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის შემცირებით და ასევე ბაზარზე ფასების კლებით, თუმცა ამავდროულად შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულებაც 8%-ით, რაც დადებითად აისახება საერთო მოგებაზე. საერთო მოგების მარჟა 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 17%-ით.

საოპერაციო მოგების მარჟა - (საოპ. მოგება / შემოსავალი)

საოპერაციო მოგების მარჟა გაუმჯობესებულია გასულ წელთან შედარებით.

	2023	2022
შემოსავალი	59,900,788	62,358,717
საოპერაციო მოგება	6,311,164	5,067,290
OPM	11%	8%

წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/შემოსავალი)

წმინდა მოგების კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ გაყიდვებიდან რამდენი დარჩა ჯგუფს მოგება. მაღალი ინდიკატორი გვიჩვენებს რომ ჯგუფი არის მომგებიანი და მფლობელებიც დიდ მოგებას გამოიმუშავენ.

	2023	2022
შემოსავალი	59,900,788	62,358,717
წმინდა მოგება	2,856,799	3,204,032
NPM	5%	5%

2023 წელს წმინდა მოგების მარჟა თითქმის არ შეცვლილა 2022 წელთან შედარებით, თუმცა საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საკურსო სხვაობის შედეგი. 2022 წელს დადებითმა საკურსო სხვაობამ შეადგინა 1,589,461 ლარი, ხოლო 2023 წელს უარყოფითმა საკურსო სხვაობამ - (267,312) ლარი. საკურსო სხვაობების იგნორირების შემთხვევაში, წმინდა მოგების კოეფიციენტი გაზრდილია 2022-თან მიმართებაში 93%-ით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

ლიკვიდურობის კოეფიციენტები აფასებენ ჯგუფის შესაძლებლობას თუ როგორ შეუძლია გაუმკლავდეს მოკლევადიან ვალდებულებებს. ანუ რამდენად სწრაფად შეუძლია თავისი მიმდინარე აქტივები გადააქციოს ფულად თავისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო უკეთესია ჯგუფისთვის, რადგან ეს მეტყველებს იმაზე რომ ჯგუფს შეუძლია დროულად დაფაროს კრედიტორების მიმართ დავალიანებები.

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

	2023	2022
მიმდინარე აქტივები	25,820,781	25,420,258
მიმდინარე ვალდებულებები	34,216,215	32,497,335
მიმდ. კოეფიციენტი	0.75	0.78
მიმდინარე აქტივები	25,820,781	25,420,258
მიმდინარე ვალდებულებები	34,216,215	32,497,335
მარაგები	11,781,916	14,045,430
სწრაფი კოეფიციენტი	0.41	0.35

Current Ratio - მიმდინარე კოეფიციენტი - (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები)

როგორც ცხრილიდან ჩანს მიმდინარე კოეფიციენტი უმნიშვნელოდ არის შეცვლილი 2022 წელთან მიმართებით.

Quick Ratio-სწრაფი კოეფიციენტი - (მიმდ.აქტივები-საქონელი)/მიმდ.ვალდებულებები

სწრაფი კოეფიციენტი გაუმჯობესებულია 2022 წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია წლის ბოლოს მარაგების შემცირებით.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი

(შემოსავალი/(მარაგები+დებ.დავალ-სავაჭრო ვალდებულება))

ცხრილიდან ჩანს რომ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი მაღალია, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი გაყიდვებიდან გამოიმუშავებს იმაზე მეტ ფულს, ვიდრე მას სჭირდება ამ გაყიდვების დასაფინანსებლად.

	2023	2022
შემოსავალი	59,900,788	62,358,717
მარაგები	11,781,916	14,045,430
დებიტორული დავალიანება	10,431,470	9,728,038
სავაჭრო დავალიანება	6,325,852	6,435,314
WCT	3.77	3.60

2023 წელს სამუშაო კაპიტალი იყო უარყოფითი -8 395 434 ლარი, რაც მეტწილად გამოწვეული იყო წლის ბოლოს სასესხო ვალდებულებების ზრდით.

ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვალობა დღეებში (მარაგები/თვითღირებულება*365)

ეს არის ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს საშუალოდ რამდენი დღე ჩერდება მარაგები კომპანიაში გაყიდვამდე. 2023 წელს DIO გაუმჯობესებულია. 2022 წლის მონაცემებით მარაგები კომპანიის საწყობში საშუალოდ 97 დღე ჩერდებოდა, ხოლო 2023 წელს იგივე მონაცემი შეადგენს 88-ს.

	2023	2022
თვითღირებულება	48,961,389	53,033,253
მარაგები	11,781,916	14,045,430
DIO	88	97

თუმცა მოცემულ კოეფიციენტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის „საქონელი გზაში“. ეს არის მარაგი, რომელიც წლის ბოლოს მდგომარეობით არ არის მიღებული საწყობში და არ არის გამზადებული გასაყიდად. შესაბამისად, ამ მაჩვენებლის მარაგების საერთო ჯამიდან გამოკლებით, მარაგების ბრუნვალობა დღეებში წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2023	2022
თვითღირებულება	48,961,389	53,033,253
მარაგები	11,781,916	14,045,430
საქონელი გზაში	4,474,749	4,158,251
DIO	54	68
საქონელი გზაში წილის მთლიან მარაგში	38%	30%

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლის მაჩვენელი გაუმჯობესებულია 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

მოთხოვნების ბრუნვადაღება დღეებში (სავაჭრო მოთხოვნები/გაყიდვები*365)

ეს არის მაჩვენებელი იმისა, თუ საშუალოდ რა ვადაში ხდება დებიტორული დავალიანების ამოღება.

	2023	2022
მოთხოვნები	10,431,470	9,728,038
შემოსავალი	59,900,788	62,358,717
DSO	64	57

DSO არის მაჩვენებელი საშუალოდ რამდენი დღე სჭირდება ჯგუფს შემოსავლების შესაგროვებლად გაყიდვების შემდეგ, ანუ გვიჩვენებს რამდენად ეფექტურად აგროვებს ჯგუფი გაყიდვებიდან კუთვნილ ფულს. ცხრილიდან ჩანს, რომ 2023 და 2022 წლებში ეს კოეფიციენტები გაუარესებულია.

ვალდებულებების ბრუნვადაღება დღეებში (სავაჭრო ვალდებულება/თვითღირებულება*365)

DPO არის ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი დღე სჭირდება ჯგუფს მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად.

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	6,325,852	6,435,314
თვითღირებულება	48,961,389	53,033,253
DPO	47	44

2023 წელს DPO კოეფიციენტი მცირედით გაუარესებულია.

რისკიანობის კოეფიციენტები

რისკიანობის კოეფიციენტები აფასებენ ჯგუფის ფინანსურ რისკიანობას, თუ რა რაოდენობის სესხს იყენებს ჯგუფი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად, რა გავლენას ახდენს ის ჯგუფის კაპიტალურ სტრუქტურაზე და მფლობელთა შემოსავალზე.

ჯგუფს აქვს როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი სესხები. ყველა სესხი დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაში.

Debt Ratio -ვალდებულებების კოეფიციენტი (მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი აქტივები)

	2023	2022
მთლიანი ვალდებულებები	37,138,968	34,948,893
მთლიანი აქტივები	48,354,296	46,481,633
Debt Ratio	77%	75%

ისევე როგორც აქტივები, ჯგუფის ვალდებულებებიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა. რაც განპირობებულია სასესხო ვალდებულებების ზრდით. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებები გაზრდილია, აქტივების ზრდის ხარჯზე, რისკიანობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ არის გაუარესებული.

Debt to Capital Ratio- სესხის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი

ეს კოეფიციენტი არის ჯგუფის ფინანსური რისკიანობის შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს ჯგუფის ფინანსურ სტრუქტურას მისი საქმიანობა სესხებით ფინანსდება თუ კაპიტალით.

	2023	2022
მიმდინარე სესხები	26,198,677	25,396,513
გრძელვადიანი სესხები	240,774	43,189
კაპიტალი	11,215,328	11,532,740
Debt to Capital	70%	69%

სესხების 2022 წელთან შედარებით თანხობრივად მნიშვნელოვნად ზრდის გამო, სესხის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი გაუარესებულია 1%-ით.

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

Debt to Asset Ratio - სესხის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (სესხები/მთლიანი აქტივები)

სესხების წილი მთლიან აქტივებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის შეცვლილი.

	2023	2022
მიმდინარე სესხები	26,198,677	25,396,513
გრძელვადიანი სესხები	240,774	43,189
მთლიანი აქტივები	48,354,296	46,481,633
Debt to Asset	0.55	0.55

7. ძირითადი რისკები

როგორც ყველა განვითარებად ქვეყნებს, ასევე საქართველოსაც, ახასიათებს ეკონომიკური, პოლიტიკური და საკანონმდებლო რისკები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს სწრაფი ცვლილებები და ზრდა. ასევე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება მეტად უარყოფითი გავლენა იქონიოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე ვიდრე განვითარებული ქვეყნებზე.

გაცვლითი კურსის რისკი

ვინაიდან "ალფა პეტის" საქმიანობა დაკავშირებულია იმპორტ-ექსპორტთან, შესაბამისად ჯგუფის საქმიანობაც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტასთან

ალფა პეტ-ს გააჩნია ორივე ტიპის რისკი: წარმოებასთან დაკავშირებული (Project Risk) და ასევე ფინანსებთან დაკავშირებული (Financial Risk).


პროექტის რისკი წარმოიშობება, მაშინ როდესაც ნედლეულიც და გამოშვებული პროდუქციაც დაკავშირებულია გაცვლით კურსთან. მიუხედავად იმისა რომ ალფა პეტი პროდუქციის უმეტესობას ყიდის ადგილობრივ ბაზარზე, ასევე პროდუქციის ნაწილი გააქვს ექსპორტზე სომხეთში, შესაბამისად გვაქვს დებიტორული დავალიანებაც უცხოურ ვალუტაში. ასევე, ვინაიდან ნედლეული შემოდის იმპოტით და მისი ფასი დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად კურსის ცვლილების გამო ლარში მისი ფასი იცვლება და რადგან პროდუქციის თვითღირებულების დაახლოებით 90% -ს შეადგენს ნედლეული, შესაბამისად ნედლეულის ფასის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრეფორმის თვითღირებულებაზე.

ვინაიდან "ალფა პეტს" აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ფინანსებთან დაკავშირებული რისკიც ჯგუფისთვის უცხო არ არის. ალფა პეტი სარგებლობს სომხეთის ეიჩ ეს ბი ბანკის საკრედიტო მომსახურებით.

სხვა რისკები

საკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო და ლიკვიდობის რისკები დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 22 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:



მიხეილ ხუნდაძე

გენერალური დირექტორი

მილენა მიკირტუმოვი

ფინანსური დირექტორი



6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

Debt to Asset Ratio- სესხის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (სესხები/მთლიანი აქტივები)

სესხების წილი მთლიან აქტივებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის შეცვლილი.

	2023	2022
მიმდინარე სესხები	26,198,677	25,396,513
გრძელვადიანი სესხები	240,774	43,189
მთლიანი აქტივები	48,354,296	46,481,633
Debt to Asset	0.55	0.55

7. ძირითადი რისკები

როგორც ყველა განვითარებადი ქვეყნებს, ასევე საქართველოსაც, ახასიათებს ეკონომიკური, პოლიტიკური და საკანონმდებლო რისკები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს სწრაფი ცვლილებები და ზრდა. ასევე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება მეტად უარყოფითი გავლენა იქონიოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე ვიდრე განვითარებული ქვეყნებზე.

გაცვლითი კურსის რისკი

ვინაიდან "ალფა პეტის" საქმიანობა დაკავშირებულია იმპორტ-ექსპორტთან, შესაბამისად ჯგუფის საქმიანობაც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტასთან

ალფა პეტ-ს გააჩნია ორივე ტიპის რისკი: წარმოებასთან დაკავშირებული (Project Risk) და ასევე ფინანსებთან დაკავშირებული (Financial Risk).

პროექტის რისკი წარმოიშობა, მაშინ როდესაც ნედლეული და გამოშვებული პროდუქციაც დაკავშირებულია გაცვლით კურსთან. მიუხედავად იმისა რომ ალფა პეტი პროდუქციის უმეტესობას ყიდის ადგილობრივ ბაზარზე, ასევე პროდუქციის ნაწილი გააქვს ექსპორტზე სომხეთში, შესაბამისად გვაქვს დებიტორული დავალიანებაც უცხოურ ვალუტაში. ასევე, ვინაიდან ნედლეული შემოდის იმპორტით და მისი ფასი დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად კურსის ცვლილების გამო ლარში მისი ფასი იცვლება და რადგან პროდუქციის თვითღირებულების დაახლოებით 90% -ს შეადგენს ნედლეული, შესაბამისად ნედლეულის ფასის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრეფორმის თვითღირებულებაზე.

ვინაიდან "ალფა პეტს" აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ფინანსებთან დაკავშირებული რისკიც ჯგუფისთვის უცხო არ არის. ალფა პეტი სარგებლობს სომხეთის ეიზ ეს ბი ბანკის საკრედიტო მომსახურებით.

სხვა რისკები

საკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო და ლიკვიდობის რისკები დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 22 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ხუნდაძე

გენერალური დირექტორი

მილენა მიკირტუმოვი

ფინანსური დირექტორი